პროლეტარებო შეერთდით ყველა ქვეყნისა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წითელი
კომანდირი

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. ეორე სართული.

ფასი 5000 მანეთი.

ხუთშაბათი 20 ივლისი 1922 წ.

№ 64

საქართველოს შეერთებული ბრიგადის პოლიტგანყოფილების ორგანო

წითელი კომანდირები

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება „მასალეი წითელ კურსანტის დღისათვის“.

ჩვენი მოვალეობაა კვლავ გავიმეოროთ იმ ჭეშმარიტების შესახებ რომელიც ყველასათვის და განსაკუთრებით კი ჩვენი წითელ-არმიელებისთვის, გარკვეული და წითელი უნდა იყოს. ჭეშმარიტებაა საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის შეიარაღებული ძალის წითელი ლაშქრის, განმტკიცება და გაძლიერება.

ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც შიგნით, ისე გარეთ ისე მტკიცეა და საიმედო, რომ ქმნის სრულ შესაძლებლობა ვაწარმოვოთ ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ფრონტზე და ჩვენი სამეურნეო და საწარმოვო მეურნეობას გავაუმჯობესოთ.

მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ დღეს სავსებით უზრუნველყოფილი ვართ იმპერიალისტები სახელმწიფოების რაიმე ავანტიურისაგან, ჩვენ არ შეგვიძლია დავყაროთ იარაღი და მივცეთ სრულ მშვიდობიანოას.

მით უფრო, რომ უკანასკნელი დროის ამბები, რომლებსაც ადგილი აქვს გერმანიაში, ჩვენ გვიკარნახებს შევამჭიდროთ ჩვენი რიგები და ვეცადოთ მომზადებულათ შევხვდეთ მოსალოდნელ ბურჟუაზიული ქვეყნების კატასტროფას.

მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

ამიტომ, შესაძლებელი არის და დარამდენათ მბოლოთ დღევანდელ პირობებში თანდათანობით ჩვენი არმიის რიცხვის შემცირება, მაგრამ იმ ანგარიშით რომ ჩვენი წითელი ლაშქარი სამაგიეროთ გაძლიერებული იქნას თავისი თვისებებით.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი არმია ძლიერი იქნება, როგორც საომარი მზადებით, ისე კლასიური შეგნების მხრივ.

ამ მხრივ ჩვენი ლაშქრის საკომანდო შედგენილობას უნდა მიექცეს განსაკუთრებული და ჯეროვანი ყურადღება. კომანდირი კი არ უნდა იყოს მარტო სამხედრო ხელმძღვანელი, ის ამავე დროს უნდა იყოს წითელ არმიელის უბრალო აღმზრდელი და მასწავლებელი.

ჩვენი საკომანდო შედგენილობა უსათუოდ მშრომელთა კლასის რიგებიდან უნდა იყოს გამოსული, რომ უსრუნველყოფილი დარჩეს არმიის რევოლიუციონერობა.

ის გარემოება რომ სამხედრო სასწავლებელში კურსანტი იღებს ცნობას, სამხედრო მეცნიერებიდან, ისე საერთო განათლების საგნების საშვალებას იძლევა ფართო გზა გაეხსნას საზოგადო განათლების მისაღებათ სამხედრო სპეცებს-კომანდირებს.

ამასთანავე ჩვენი სამხედრო სასწავლებლები შევსებული უნდა იქნას პარტიის წევრთა რიგებიდან, პროფ-კავშირებიდან და ახალგაზრდების კავშირისგან.

ამიტომ ჩვენ აღფრთოვანებულ შევეგებებით აგვისტოში და სექტებრამდე სამხედრო სასწავლებიდან წითელ კომანდირების გამოშვებას.

გაუმარჯოს საქართველოს წითელ-არმიას და მის წითელ კომანდირებს.

სანდრო.

რევოლიუციონერის ხსოვნას

(გაზ. „კომუნისტიდან“ შემოკლებით).

> „მხოლოდ ის ვისაც შეუძლია და სურვილიც აქვს გააკეთოს პატარა საქმე, გააკეთებს დიდ საქმესაც. ვინც ამ ჟამად წვრილმანებს არ აკეთებს, მას მომავალში დიდი საქმის გაკეთება არ შეუძლია“,

ეს სიტყვები მე ამოვწერე ავტობიოგრაფიიდან, ვისაც ჩვენ ვაბარებთ სამარეს, ე. ი. ამხ. კამოს ავტოგრაფიიდან, რომელმაც მოასწრო თავისი ავტობიოგრაფიის მხოლოდ დასაწყისის დაწერა. ასე შეუძლია ილაპარაკოს მხოლოდ ჭეშმარიტ რევოლიუციონერმა. ამხ. კამო, რომლის სიცოცხლე არა ერთხელ ყოფილა საშინელ საფრთხეში ჩავარდნილი, რომელიც ხშირად უშიშრად მიდიოდა პირდაპირ დაღუპვისაკენ და რომელსაც ბოლოს და ბოლოს ბევრჯერ ქონდა მისჯილი სიკვდილით დასჯა, მაგრამ რომელიცყოველთვის გამოდიოდა ხოლმე ასეთ დაბრკოლებათაგან, ეს კამო იღუპება ველოსიპედის შემთხვევითი შეტრიალებისაგან, სავსებით მშვიდობიან პირობებში თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე.

ამხ. კამო ეკუთვნოდა უფრო ძველ რევოლიუციონერთა ჯგუფს, თუმცა იგი ჯერ კიდევ სავსებით ახალგაზრდა დაიღუპა. (დაახლოვებით 40 წლისა იყო). არა მარტო პარტიულ წრებში, არამედ ფართო მასაშიც მას დიდი პოპულიარობა ჰქონდა დამსახურებული და არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და საზღვარგარეთაც. რა იყო ამ პოპულიარობის მიზეზი? კამო არ იყო არც მწერალი და არც ორატორი, მაგრამ მისი სახელი*) ეგზომ პოპულიარული შეიქნა.

კამო პირველ ყოვლისა იყო **არა ლეგარული მუშაკი**, ყველაზე უფრო უკეთესი და დაქნილი ყველა იმ ამხანაგებიდან, რომელთაც კი მე შევხვედრივარ. და ამ არა ლეგარულ ბრძოლაში იგი ჯერ **ორგანიზატორი** იყო, ხოლო შემდეგ კი **მებრძოლიც**. ის რაც ყველაზე უფრო გაკვირვებდათ ამ ადამიანში —ეს იყო **მისი ორგინალობ, გაბედულობა და სიმტკიცე**.

---

*) კამო—ეს მისი ზედმეტი სახელწოდებაა, ხოლო მისი სახელი მგონია ამ ტრაღიკულ დღემდი არც ერთ მის ამხანაგთაგანმა არ იცოდა.



ამხ. კამო

კამომ დაიწყო თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობა მე-20 საუკუნის დასაწყისში არა ლეგარულ ორგანიზაციებში, როგორც ტეხნიკურმა მუშაკთაგანმა არა ლეგარული ლიტერატურის გადასაგზავნათ, შემდეგ იგი ხდება ამ ლიტერატურის ბეჭდვის და ბოლოს **საიდუმლო სტამბის** ორგანიზატორიც. განსაკუთრებულ აქტიური როლი მან ითამაშა 1905 წლის მიწურულში, ნახალოვკაში მომხდარი ახალი შეტაკების დროს, რომელიც გაიმართა თბილისის მუშების ავანგარდსა და კაზაკების შორის და რომელიც დროსაც დაიღუპნენ რამოდენიმე საუკეთესო მუშა-ამხანაგები. კამო ამ შეტაკების დროს გადარჩა, მაგრამ იგი ხელში ჩაუვარდათ ჟანდარმებს, რომელნიც დიდი ხანია გაფაციცებით ეძებდენ მას, როგორც კამოს და სწორედ აქ იჩენს იგი პირველად იმ გასაოცარ მიხვედრილობას და გონება-მახვილობას, რომელთაც მან შემდეგში, შეიძლება ითქვას, განაცვიფრა მთელი ქვეყანა. ყველაზე უფრო გამოცდილ და სასტიკ ჟანდარმების როტმისტრების წინაშე, რომელთაც იგი დაიჭირეს, როგორც კამო, მას თავი უჭირავს, როგორც უცნაურ გადარეულ ადამიანს, რომელსაც არაფერი არ გაეგება, ხოლო ჟანდარმების შეკითხვაზე, იცნობს თუ არა იგი კამოს, იგი სავსებით დამშვიდებულად უპასუხებს, რომ როგორ თუ არ იცნობს. ეს მწვანილია (ქართულად კამა მცენარეს ეწოდება) და თქვენ წარმოიდგინეთ ჟანდარმები მას ანთავისუფლებენ მეტეხის ციხიდან სწორედ იმ დროს, როდესაც თბილისში წარმოებდა შავრაზმული ბრბოს ველური ვაკხანალია და როდესაც თვით კამოს გაფაციცებით ეძებდენ. ჟანდარმები ჩქარა მოვიდენ გონს, მიხვდნენ თავის შეცდომას, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

1905 წლის რევოლიუცია დამარცხდა; მუშათა კლასის, რომელმა აუარებელი მსხვერპლი გაიღო, დროებით დამარცხებულ იქნა პირდაპირ შეტაკებაში; დადგა შავბნელი დღეები სტოლიპინის რეაქციისა, მაგრამ ზოგან კიდევ გადარჩენილი ჩვენი ორგანიზაციები კიდევ დიდხანს არ ყრიდენ იარაღს, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ ახალი რევალიუციის ცეცხლი სულ ახლო მომავალში ავარდებოდა. მაგრამ ამ ახალი რევალიუციონური მოძრაობის დასაწყებად საჭირო იყო კოლოსალური თანხები, რომელიც ჩვენ ორგანიზაციებს არ ქონდა. საჭირო იყო მათ შოვნა თუ გინდ ექსპროპრიაციის გზით მთავრობისაგან ან კერძო პირთაგან, საჭირო იყო გამოსავალის მონახვა. ჩვენი საუკეთესო ამხანაგების ჯგუფმა, რომელშიც შედიოდენ, გარა კამოსი. **სტ. ინწკრიველი, ვახო ჭალანდაძე, ელისო ლომინაძე**. და სხვები, შექმნა განსაკუთრებთლი ორგანიზაცია, პარტიული ორგანიზაციას ვარეშე, რომ ეშოვნათ ეს ფულები ჩვენი ბოლშევიკური ზაფხულში, შუადღისას, ქალაქ თბილისის ყველაზ უფრო მრავალ რიცხოვან მოედანზე—ერევნის მოედანზე, ამ თავდადებულ ამხანაგების ჯგუფი ამხ. კამოს მეთაურიბით თავს ესხმის ფოსტას, რომელსაც მოქონდა მნიშვნელოვანი თანხა —250 ათასი მანეთი ბანკში, და სავსებით გაიტაცა იგი, ამ ექსპროპრიაციას არ ქონებია შემთხვევითი ხასიათი. აქ იყო სისტემა, დასახული იყო გრანდიოზული გეგმა, რისი განსაკუთრებული ხელოვანი, როგორც ზევითაც აღვნიშნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო კამო ეს გეგმა ეხებოდა მთელ რუსეთს. რამოდენიმე ხნის შემდეგ კამო ჩნდება საზღვარგარეთ, სადაც იგი ანვითარებს თავის გეგმას, და სადაც იგი ხელში უვარდება ბერლინის პოლიციას, რომელსაც ხელში ჩაუვარდა ისეთი მასალები, რომელნიც ამხ. კამოს იმდენათ დიდ საფრთხეში აგდებდა, რომ მას მოელოდა სიკვდილით დასჯა. მაგრამ იგი არც აქ იბნევა, არ ეძლევა სასოწარკვეთილებას, კვლავ მიმართავს თავის ჩვეულებრივ ხრიკებს და გონება მახვილობას და გერმანიის ხელისუფლება მას კვლავ აძლევს ხელში რუსეთის ხელისუფლებას. იგი ჩასვეს მასთვის კარგათ ცნობილ მეტეხის ციხეში. მისი მიზანია, რათაც არ უნდა დაუჯდეს, ციხიდან გაქცევა მაგრამ როგორ? ის ხომ ერევნის მოედანზე ჩადენილ ექსპროპრიაციის ავტორია და როგორც ასეთს, უკვე წინდაწინ მისჯილი აქვს ჩამოღრჩობა. აქ ახლა არ არის ადგილი ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რამდენი უჩვეულო და ზეკაციური ტანჯვითა და წვალებით მოახერხა ამხ. კამომ ციხიდან გამოქცევა.

ამის შემდეგ იგი კვლავ მიემგზავრება საზღვარ გარეთ, და კვლავ ბრუნდება საქართველოში, უბრუნდება თავის მშობლიურ სტიქიას, თავისი განუყრელი გეგმით და კვლავ უვარდება ხელში მეფის პოლიციას; ახლა კი ყველას გადაუწყდა იმედი, ეგონათ, რომ მას არაფერი იხსნიდა, მაგრამ ბედმა არ უმტყუნა. მას მიუსაჯეს სიკვდილით დასჯა, მაგრამ მანიფესტის ძალით ეს სასჯელი მას შეუცვალეს 20 წლის კატორღით, რომლიდანაც მას ანთავისუფლებს 1917 წ. თებერვლის რევოლიუცია.

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ იგი შედარებით დიდხანს იმყოფებოდა წარსული მუშაობის შთაბეჭდილების ქვეშ, და თავისუფლდებოდა რა ამ შთაბეჭდილებისაგან და ეგუებოდა რა ახალ პირობებს, მან ოქტომბრის რევოლიუციის ხანაში, თავის როლს ერთბაშათ ველარ მიაგნო, და დიდხანს სინჯავდა ნიადაგს. მართალია, ეს ერთბაშად ვერ გაერკვია მდგომარეობაში და, რაც უმთავრესია, ისევ წარმოიშვა მის გონებაში ძველი გეგმები, ხოლო ეხლა თავის მოქმედების ობიექტად ევროპა უნდოდა მას გაეხადა. მაგრამ რუსეთში სამოქალაქო ომის გაძლიერებამ და კონტრრევოლიუციასთან ბრძოლამ აიძულა იგი ჩაშვებულიყო ქვეშ და მიეღო მონაწილეობა ამ შეტაკებებში. შემდეგ ის მიჰყოფს ხელს სამხედრო ხელოვნების ზედმიწევნით შესწავლას, რათა სამსახური გაეწია მომავალ პროლეტარულ რევოლიუციისათვის ევროპაში, მაგრამ ჩქარა თავს ანებებს ამ მეცადინეობას და იწყებს საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობას. სიკვდილი უსწრობს მას სწორედ ამ მომენტში, რომ არ მოესწრო მისთვის უდროვო სიკვდილს და ამასთანავე ყოფილიყო სათანადო პირობები, მას ერთხელ კიდევ შეეძლო გაეკვირვებია მთელი ქვეყანა თავისი გმირული მოქმედებით პროლეტარიატის საკეთილდღეოდ. მაგრამ იმან უამისოდაც ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ მისი სახელი სამუდამოდ დარჩეს მუშების და გლეხების გულში.

ფ. მახარაძე.

საბჭოთა ხელის უფლება და ნაციონალური საკითხი.

კაპიტალიზმის ხანაში, როგორიც არ უნდა იყვეს ხელისუფლება ბურჟუაზიული თუ მონარქიული, ყველა მთავრობა ცდილობს გააფართოვოს თავის სამფლობელოს საზღვრები, ყველა მოწადინებულია რაც შეიძლება მეტი ქვეყნები დაიპყრას, დაიმორჩილოს, და ამნაირათ გახადოს ისინი თავის საექსპლოატაციო საგნათ.

ამ ტენდეციას, რაც შეიძლება ბევრი ქვეყნების დაპყრობისას, ეწოდება იმპერიალიზმი, რომელიც გამომდინარეობს კაპიტალიზმის მიერ შექმნილ ეკონომიურ უკულმართობიდან.

ყველა კაპიტალისტური სახელმწიფოები, რათა გაძლიერდეს ეკონომიურათ, ცეცხლითა და მახვილით იმორჩილებს მათზე, უფრო სუსტ სახელმწიფოებს და მონობის უღელს ადებს მათ. ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და სხვა ბევრი დიდი სახელმწიფოების მთავრობები მთელი საუკუნეების განმავლობაში აწარმოებდნენ ასეთ ბრძოლას სუსტი სახელმწიფოების დასამონავებლათ და დღეს ვხედავთ ჩვენ, რომ დიდი ნაწილი მსოფლიოსი ამ ზემოხსენებულ სახელმწიფოების საწიწკნათ და საყვლეფ საგნათ გამხდარა, რომლებშიაც მოუსპიათ ყოველგვარი ეროვნული წმიდათა-წმიდა და გადაუქცევიათ უბრალო კოლონიებათ.

იმპერიალისტური რუსეთიც, ასეთ გზას ადგა ოქტომბრის რევოლიუციამდის და ყველა მის მორჩილებაში მყოფი წვრილი ერები (მათ შორის საქართველოც) ლაფავდნენ სულს მონობის მძიმე უღლის ქვეშ.

მათი ეროვნული თავმოყვარეობა, მათი ყოველგვარი სუვერენობა უხეში ჩექმის ქუსლებით ქონდა სისხლიან ნიკოლოზს გასრესილი და თუ ვინმე აიმაღლებდა ხმას ამის წინააღმდეგ, მას ციხე სახრჩობელებით უმასპინძლდებოდნენ.

მაგრამ იფეთქა ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ და, როგორც მუშათა კლასმა კაპიტალისტების მძიმე უღლიდან, ისე ვებერთელა რუსეთის მცირე ერებმაც, ერთხელ და სამუდამოთ გაინთავისუფლეს თავი ეროვნულ ჩაგვრა მონობისაგან. ყველა მცირე-რიცხოვან ერს მიეცა უფლება თავისი შინაური საქმეების მოწყობის და მოგვარების (რასაკვირველია საბჭოთა სისტემასთან შეფარდებით) ერის გამო მათი ეროვნული კულტურის განვითარება ჩქარი ტემპით წავიდა და მიდის დღესაც წინ.

საქართველო, რომელმაც თითქოს მისი საბჭოთა რუსეთის ჩამოშორებით მიაღწია ეროვნულ თავისუფლებას, დანამდვილებით ვერ გრძნობდა ამ თავისუფლების სიცხოველეს, რადგან ჯერ ერთი: ის სავსებით ემორჩილებოდა იმპერიალისტური ანტანტის ბურჟუაზიას და მეორე: მისი მშრომელი ხალხი კვლავ ისევ წინანდებულათ ლაფავდა სულს ანტანტის თუ ადგილობრივ ბურჟუა—სპეკულიანტების ხელში, და მაშასადამე ეროვნული თავისუფლება, როგორც ასეთი, მხოლოდ მშრომელი ხალხის თვალის ასახვევი მანქანა შეიქნა.

მაგრამ საქართველოში მომხდარმა თებერვლის გადატრიალებამ, ჯვარი დაუსვა ყოველ-გვარ ყალთაბანდობას და მის მაგივრათ მისცა მას, როგორც ნამდვილი ეროვნული თავისუფლება, ისე მისი მშრომელი ხალხის კაპიტალისტების მძიმე უღლიდან განთავისუფლება.

არ არსებობს არსათ არავითარი ეროვნული თავისუფლება, თუ მისი მშრომელი ფართო მასა კვლავ ჩაგვრა-მონობაშია, რადგან ეროვნულ თავისუფლებას მხოლოდ მაშინ აქვს თავის შარავანდედისებური ძალა, როცა მოსპობილია ეკონომიური უკულმართობა და კლასიური ანტაგონიზმი, და აი საქართველოც განთავისუფლდა რა, კაპიტალისტების-ბრჭყალებიდან შეუდგა თავის შინაური საქმეების თვით მოგვარებას საბჭოთა რუსეთის დახმარებით.

საქართველოს ბევრი ულირსი შვილები, მუშათა ინტერესების გამყიდველნი-სოციალ შოვინისტები, ვაჭარ-სპეკულიანტები-შოვინიზმის სენით გაჟღენთილნი და სხვა ბევრი უმსგავსი ფილისტერი ისტერიკულათ გაკივიან საქართველოს სუვერენობის მოსპობაზე, მაგრამ ამ ჩხავილით ისინი ქართველ მუშებს ვერ აუხვევენ თვალებს და შეიყვანენ შეცდომაში, მით უმეტეს, რომ საქ. სუვერენული უფლებები დღეს რომ არის დაცული, ისე თავის დღეში არ ყოფილა.

ჯერ, ის ერთი ფაქტი რათ ღირს, რომელიც ეხება საქართველოს სამუზეიმო სიმდიდრეთ დაბრუნებას, რომლებიც გაზიდულიყო საქართველოდან რუსეთის სხვა და სხვა მონასტრებში შესანახათ.

საკმაო შეიქნა განათლების სახალხო კომისრის ამხ. კანდელაკის ჩასვლა მოსკოვში და იქ საკითხის აღძრა საქ. სიძველეთა უკან დაბრუნების შესახებ, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობამ მაშინვე დართო დასტური და ამნაირად— ამ მოკლე ხანში საქართველოს დაუბრუნდება ის უმრავი ძველი დროთა სიმდიდრე, რომელსაც საქართველოს მეცნიერულათ შესასწავლათ აქვს დიდი მნიშვნელობა.

ამ სიმდიდრის, საქართველოზე გადაცემით საბჭოთა რუსეთმა დაანახა ყველას, რომ ის ჭეშმარიტათ იცავს წვრილი ერების ინტერესებს და სუვერენობას, როგორც ამას უკარნახებს მას, მისი გამომძრავებელი იდეალოგია მეცნიერულ სოციალიზმისა.

ვიცით, ამ დიდი საშვილი-შვილო საქმის გაკეთებითაც არ დაკმაყოფილდებიან საქართველოს მახინჯი შვილები-სოციალ-შოვინისტები და ისინი კვლავ ჩვეულებრივათ განაგრძებენ ჭრელი გველივით ენის სისინს, მაგრამ საქართ. მშრომელი მასა და მისი დამცველი ქართ. წით. არმია ზიზღით მიაფურთხებს მათ და შესძახებს მრისხანე ხმით: „საზიზღრებო, შორს თქვენი სისხლიანი ხელები. გეყოთ რაც გვატყუელეთ და გვტანჯავდით. შემდეგში არ გაგივათ ასეთი ხრიკების ხმარება ჩვენთან. გიცანით ვინცა ბრძანდებით“.

პანი.

რა არის კომუნა?

(გაგრძელება)

არაფერი ამისი მსგავსის მოცემა არ შეუძლია ულონო, გარიყულ და ყოველმხრივ შეზღუდულ კომუნისტურ თემს (ობშჩინას), რა ხელოვნურადაც არ უნდა იყოს იგი მოწყობილი.

მას არღვევს ყოველი გარეშე მომქმედი მოვლენა და შედეგები ამისა იმდენათვე ძნელია, რამდენათაც ყოველი პიროვნება ანგარიშს უწევს მთლიანათ საზოგადოების აუცილებელ მოთხოვნილებათ.

ამნაირათ აუცილებელია: ან მთელ საზოგადოებასთან წახვიდე განვითარების გზაზე ან დარჩე გარიყულათ, განდგომილათ და ხელი აიღო ყოველგვარ განვითარებაზე და პროგრესზედაც. მესამე გამოსავალი არ არსებობს.

ამიტომ ყველა სოციალისტური ექსპერიმენტერი, ბურჟუაზიული სახელმწიფოში არიან მხოლოთ უტოპისტური და ფანტასტიური, მიუხედავათ იმისა გამოდიწარეობს თუ არა ეს უტოპის ერთი რომელიმე პიროვნებისაგან, რომელსაც თავის თავი წარმოუდგენია ბურჟუაზიის მესაჭეთ და ამით უნდა ერთის დაკვრით განხორციელოს სოცისლისტური წარმოება და ნაწარმოებთა დარიგება-განაწილება, —თუ გამომდინარეობს ეს ერთი რომელიმე პატარა თემიდან, რომელიც მიისწრაფვის თავისთვის და თავის საშუალებებით განახორციელოს იგივე. ყოველი ამდაგვარი ცდა არის მხოლოთ გონებრივ მოუმწიფებლობის ნიშანი და შეუძლია შედეგათ მოიტანოს მხოლოთ ერთი რამ, სახელდობრ: იმედის გაცრუება და იმ ხალხისადმი ნდობის დაკარგვა, რომელიც ამ იდეას უწინ თაყვნს სცემდა ერთის მხრივად მეორეს მხრივ მოწინააღმდეგეებს მიეცემათ საშუალება უფრო მეტი საბუთი ექნეთ, მათთვის საშიშ ექსპერიმენტთა, ხალხის თვალში დამცირების შესახებ“.

სულ სხვანი არიან ის კომუნები, რომელთა ასაშენებლადაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა აუარებელი ენერგია დახარჯეს.

ამ საქმის მიმართულება ისეთია, რომ მთელი რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა გადაიქცეს ერთ დიდ, სრულიად რუსეთის მთლიან კომუნათ, სადაც წარმოება პირველ მოთხოვნილების საგანთა მოწესრიგებულ იქნება სასარგებლოთაც და მისი განაწილებაც მოხდება სამართლიანათ.

ძველი კომუნები აღმოცენდნენ კერძო-მეურნეობითი წესწყობილებიდან, -ისნი წარმოადგენდნენ უცხო სახეს კაპიტალისტური მეურნეობის საკმაოთ სადა სურათზე. უთანასწორო ბრძოლაში ძველი ქვეყნების წარმომადგენლებთან, კომუნან არ შეძლო გამარჯვებაზე ოცნებაც კი.

კომუნისტური თემების დამაარსებელნი ფიქრობდნენ ისტორიისათვის გვერდის ახვევას და მის მოტყუებას. მათ კიცთავაც კი არ დაუყენებიათ პოლიტიკური ძალა-უფლების ხელში აღების შესახებ. ისინი ფიქრობდნენ, რომ გარეშენი მათ მიბაძავდნენ მაგალითზე და საზოგადოება, ამნაირათ გარდაიქნებოდა. მაგრამ ძველი ქვეყანა არ აყვა მათ მაგალითს და ისტორიისათვის გვერდის ახვევა შეუძლებელი შეიქმნა. ძველმა ქვეყანამ გაიმარჯვა.

ახალი საზოგადოების ამოცენების ცდა, ძველის საფუძვლებზე-დამარცხდა. ცხოვრებამ გამოაშკარავა თავის დაუნდობლობა იმ იმედების მიმართ, რომელნიც ფიქრობდნენ მშვიდობანობის, რეფორმატორულის, რევოლიუციონურის გზით, მაგალითის საშუალებით ცხოველმყოფელ იდეების განხორციელებას.

რუსეთის პროლეტარიატმა გადასწყვიტა ეს საკითხი. იგი აშენებს თავის სამეურნეო ცხოვრებას ახალ საფუძვლებზე და ეს მან მოიმოქმედა იმის შემდეგ, რაც პოლიტიკური ძალაუფლება გამოგლიჯა ხელში თავის კლასიურ მტრებს.

ამიტომ მშრომელნი, ახალ ცხოვრების შექმნის დროს, მიიღებენ სახელმწიფოსაგან ყოველგვარ დახმარებას.

პარიზში 1871 წელს, კომუნა, პირველათ მსოფლიოში გახდა სახელმწიფოთ. ამაში მდგომარეობს საქვეყნო ისტორიული მნიშვნელობა პარიზის კომუნისა. მაგრამ მაშინ მუშათა სახელმწიფო არ გაშორებია ერთი ქალაქის საზღვრებს და ეს იყო უმთავრესათ მის დამარცხების მიზეზი. რუსეთში 1917—1918 წ. კომუნა გარდაიქმნა სახელმწიფოთ და დაიმორჩილა მთელი ქვეყანა. სწორედ ამაშია მისი მუდმივობის საწინდარი, მთელი თავისი სიმძიმით პროლეტარული სახელმწიფო სდგება მუშებისა და გლეხების მხარეზე და მთელი ქვეყანაც ემგავსება ერთ გიგანტიურ კომუნას.

რუსეთის კომუნებში ძალა-უფლება ხელში აიღეს თვითონ მშრომლებმა. ისინი მზათ არიან განამტკიცონ თვისი ბატონობა წარმოებაზე. საბჭოთა რესპუბლიკა ეს არის კომუნათა კავშირი, სადაც ძალაუფლება ღარიბების ხელშია.

კომუნა ეს ღარიბების ხელის უფლებაა, ეს საზოგადოებრივი შენობის დაბალი წრეების, ლატაკების და შევიწროებულების გაბატონებაა, ეს-დოვლათის წარმოების ყველა წევრთა ინტერესებთან შეთანხმებაა, ეს—სამართლიანი განაწილებაა ამ დოვლათისა, ეს არის განხორციელება პრინციპისა: „ყველას საჭიროებისა მიერ და ყველასგან შეძლებისამებრ.“

აი რა არის კომუნა.



გერმანიის ამბები.

გერმანია

პროპკავშირების მოთხოვნილება.

ნაუენი. 15 ივლისი (რადიო). გერმანიის პროფკავშირთა აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნებულია, რომ სოციალისტური პარტიები წინააღმდეგი იქნებიან რეიხსტაგის მიერ რესპუბლიკის დაცვის კანონპროექტის იმ სახით მიღებით, როგორც ეს შეტანილ იქნა მეორედ წაკითხვის დროს, კომიტეტი დაჟინებით მოითხოვს დამოუკიდებლობის კაბინეტის კოალიციაში შეყვანას.

მემალაროების ვაფიცვის ლიკვიდაცია.

ნაუენი. 15 ივლისი (რადიო) შრომის მინისტრმა ბრაუნმა შესძლო მოეხდინა შეთანხმება მაღაროების პატრონებისა და მაღაროს მუშების შორის სამუშაო ქირის საკითხში, რასაც მოჰყვა გაფიცვის დაბოლოვება.

ბავარიის ლანტაგში.

ნაუენი, 15 ივლისი (რადიო) ბავარიის ლანდტაგის საბიუჯეტო კომისიაში, სოციალისტების დადგენილების წინააღმდეგ, მიღებულია სურვილი სახელმწიფო წარმოების აქციონერულ საზოგადოებათ გადაქცევის შესახებ.

მე—მე არა ვარ...

ბორდო 15 ავლისი (რადიო) ბავერიის სახალხო პარტიის ლიდერმა გეიმ განაცხადა, რომ მას არასოდეს არ ჰქონია მოლაპარაკება პრინც რუპრესთან, ბავრიაში მონარქიის აღდგენის შესახებ, რასაც ადგილი ექნებოდა მხოლოდ ჩრდილოეთ გერმანიის სამხრეთიდან გამოყოფის დროს.

კოალიცია

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). ცენტრმა და დემოკრატებმა სოციალ-დემოკრატებთან მოლაპარაკების დროს ვერ მიაღწიეს ვერავითარ შედეგებს. მაგრამ განუცხადა სოციალისტებს, რომ არ დასთანხმდიბიან მთავრობის კოალიციის გაფართოებაზე, განსაკუთრებით მარცხნით და წინადადებას აძლევენ სოციალისტებს (ალბად მეუმრავლე სოციალ დემოკრატებს) შეურიგდნენ დამოუკიდებლებს.

ჰააგის კონფერენცია

ბორდო. 15 ივლისი. (რადიო) კრედიტების ქვე-კომისიამ რუსებთან მოლაპარაკების გაგძობის შესახებ გამოიტანა დასკვნა, ანალოგიური კერძო საკუთრების ქვე-კომისია. რუსეთის დელეგაციიის პროტესტზე კერძო საკუთრების და კრედიტების საკითხის შესახებ თავმჯდომარე ავეკანმა განაცხადა, რომ კრედიტების ქვე კომისია არ იყო კომპეტენციური ამ საკითხშია და რომ რუსებს უფლება ეძლევა შემოიტანონ ახალი წინადადება. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ არავითარი ახალი წინადადებას ადგილი არ ექნება. დასასრულს ავეცანმა გამოსთქვა ის აზრი, რომ რუსები შეცდომას უშვებენ, როდესაც კრედიტების საკითხს უკავშირებენ სხვა საკითხებს. სახელმწიფოები მზად არიან მისცენ კრედიტები რუსეთს რომელიც თავის მხრით მოვალეა იცნოს ვალები და უცხოელების საკუთრება.

კონფერენციის დახურვა.

ბორდო. 15 ივლისი (რადიო). ფიქრობენ, რომ კონფერენცია დაიხურება 21 ივლისს, ქვე-კომისიის მოხსენების მოწონების შემდეგ.

რუსეთის დელეგაციის გამგზავრება

ბორდო. 15 ივლისი (რადიო) რუსეთის დელეგაცია დღეს გაემგზავრა ჰააგიდან. კრასინი მივიდა ბერლინში.

ჰააგა.

მოსკოვი. 14 ივლისი (რადიო). წინასწარი ცნობა ჰააგის თათბირის დაშლის შესახებ, გახდა თემთა პალატაში შეკითხვის საგნათ. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ მთავრობას არ მოსვლია ოფიციალური ცნობა კონფერენციის დაშლის შესახებ კონფერენცია მხოლოდ გაიყინა ერთ წერტილზე.

ჩვენი შემოქმედება

კამოს საფლავზე

შენ რწმენის ცეცხლით ენთებოდი ჩვენს ბნელ მიდამოს
ღამის წყვდიადში გვიკაფავდი გზას ბარდ-ეკლიანს;
„ვინც ჩვენთან არის, მტერთან ბრძოლა უნდა იწამოს,
„უნდა ვიაროთ და გადვიაროთ მთებს მაღალ კლდიანს,
„რომ მივაღწიოთ ჩვენს სამეფოს გასხივოსნებლს
„რომ ვინახულოთ შრომის მხარე ბაღნარიანი
„წყევას უთვლიდეთ ძველ ქვეყანას ცეცხლით მოდებულს
„სვავთა ღმუილით ტყე სტიროდეს უღრანიანი“.
ასე გვეძახდი აღთქმულ მხარეს საყვირის ხმებით,
წინ მიგვიძღოდი და უშიშრათ გზებსა გვიკვლევდი,
ო, ბევრჯერ, ბევრჯერ მოგვსევია გარეშემო მგლები,
მაგრამ მათ ხროვას მამაცურად იგერიებდი..
გადავადექით მთის მწვერვალებს და გადავყურებთ,
შორით უცქერით სანეტარო ოცნების მხარეს,
ჩვენი გულიდან ბოღმა-სევდა მთლად ამოვწურეთ
და არ გვისველებს შავი ბედის ცრემლები თვალებს..
მაგრამ... დღეს დილით ჩვენს რიგებში ისმის წუხილი
თვალები ცრემლით ამვსებია და ვტირით, ვტირით,
ვტირით უფრო ძმას, ვინც მტრის რისხვა, ჰექა ქუხილი
გამოიარა ცეცხლის გზებით და გასაჭირით.
და გვირეკს ზარი, გლოვის ზარი... დაჰქრის მთის ქარი
„ველოსაპედზე გადავარდა... მოკვდაო კამო“..
შრომის უბნები ცნობას იღებს.. სტირას მთა-ბარი
და სულის ბაღში ჩამონისლდა სევდის საღამო..
აღარ გვყავს კამო!. მაგრამ მის გზას ჩვენ არ დავტოვებთ..
ამ მაღალ მთიდან, რომ უცქერით იმ სანეტაროს,
კვლავ მისკენ ვილტვით, არ დავიცდით, არ დავიყოვნებთ,
და საფლავში ძმავ ჩაგძახებთ, რომ გაგეხაროს..
„ჩვენ მივაღწიეთ სანეტაროს—მშრომელთა მხარეს,
„ასე ილტვოდი ცეცხლის სულით, უსაზღროებით
„იქ შენს სახსოვრათ ჩვენ დღეს ვაგებთ ძმობის სასახლეს
„და გაიხარე ძმავ შენც ჩვენთან ნეტარ დროებით“.
ეხლა მშვიდობით!

სანდრო ეული.

მასალები „წითელი კურსანტის“ დღისათვის.

თეზისები აგიტატორებისათვის.

1. აგვისტოში და სექტემბერში სამხედრო სასწავლებლები უშვებენ დიდ რიცხვს წითელ კომანდირებისას, რის გამოც იქ მოხდება კომპლექტის საგრძნობლად შემცირება.

2. საბჭოთა რესპუბლიკის მტკიცე მდგომარეობა (სიმშილის კრიზისის შემცირება, კარგი მოსავლის იმედის გამო). და აქედან გამომდინარე საერთაშორისო ავტორიტეტის გაძლიერება, ქმნიან შესაძლებლობას გარკვეულ მუშაობისას ქვეყნის მშვიდობიანი მდგომარეობის დროს, ხოლო ეს უკანასკნელი კი გვიკარნახებს არმიის თანდათანობით შემცირებას და მისი კადრებიდან რაც შეიძლება მეტი მუშებისა და გლეხობის განთავისუფლებას მშვიდობიანი მუშაობის საწარმოებლად.

3. მაგრამ, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენი თავი სავსებით უზრუნველყოფილად რაიმე თავდასხმათაგან და ამიტომ ჯარების შემცირების გამო იგი გაძლიერებული უნდა იქნეს თავისი თვისებით, როგორც საომარი მომზადების, ისე კლასიური შეგნების მხრივ.

4. საკომანდო შემადგენლობამ ამ მხრივ უნდა მიაქციოს ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება. არის არა მარტო სამხედრო ხელმძღვანელი, არამედ უახლოესი და უშუალო აღმზრდელი წითელ არმიელისა, კომანდირი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოთხოვნილებას, რომელიც წარდგენილი აქვს მას, როგორც აქტიურ წევრს ინტერნაციონალის არმიისას.

5. შემცირებულ არმიას შეუძლია არ დაკარგოს თავისი საომარი ღირსება საერთოდ — და ინდივიდუალური მომზადება ცალკე თვითეული წითელი მეომრისა იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ შევძლებთ მისი რიგების შევსებას კარგად მომზადებული წითელი კომანდირების კადრით, უმთავრესად მუშებისა და გლეხობისაგან; ამ უკანასკნელი გარემოებით ჩვენ შევძლებთ არმიის კლასიური შეგნების გაღრმავებას. თუ ჩვენი საკომანდო შედგენილობა მრავალ რიცხოვანია და კარგად მომზადებული, იგი შეძლებს მიაღწევიოს არმიას გამარჯვებამდე მცირედი დანაკლისით. თუ იგი მშრომელთა კლასის რიგებიდან არის გამოსული, მაშინ უზრუნველყოფილია არმიის რევოლიუციონერობა, მისი განუწყვეტელი კავშირი მშრომელ მახებთან და ერთგულება კაპიტალიზმიდან განთავისუფლების იდეის სამსახურისა.

6. სამხედრო სასწავლებლები თან და თან გადადიან მშვიდობიან მდგომარეობაზე: აქ იღებენ სწორედ და მეთოდიურ სამხედრო სწავლებას, კარგად დაყენებულ შესწავლას საერთო განათლების საგნებისას, გაუმჯობესებულ საშვალებებს პოლიტიკურ განათლების მუშაობისას და ეს ჩენ საშვალებას. მოგვცემს, შევქმნათ მომავალში არა მარტო სამხედრო სპეცი — კომანდირი, არამედ მოქალაქე, რომელიც სავსებით შეეგუება საბჭოთა აღმშენებლობის მშვიდობიან თანამშრომლობას. ცოდნის რაოდენობა რომელსაც იძლევა სამხედრო სასწავლებელი, უხსნის მათ ფართოდ გზას შემდეგი, როგორც სპეციალური, ისე საზოგადო განათლების მისაღებად.

7. კურსანტებისა და მათი ოჯახების მატერიალურად უზრუნველყოფა არის საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი უმთავრესი ამოცანა. მოითხოვს რა წითელ კომანდირისაგან ძალღონისა და ენერგიის მაქსიმუმის დახარჯვას, რესპუბლიკა იმავ დროს არ ივიწყებს კურსანტისა და კომანდირის პირად და ოჯახური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

8. სამხედრო სასწავლებლების შევსებისათვის ზრუნვა-მეცადინეობა არ არის შემთხვევითი და ერთდროული მათი მომავალი თანდათანობითი შევსება უნდა ხდებოდეს პარტიის წევრთა რიგებიდან პროფკავშირებთაგან, ახალგაზრდობის კავშირისაგან და უღარიბესი გლეხობიდან ამიტომ ღრმად შეთვისება სამხედრო სწავლების აუცილებლობას და მისი მშრომელი მასებიდან შევსებას იდეისა, შეადგენს ჩვენ მორიგ მიზანს.

9. თანდათანობით და განუწყვეტლად შევიყვანთ რა კურსებზე ახალ და ახალ კადრს, საბჭოთა ფედერაციის მუშები და გლეხები, შეძლებენ წითელი არმიის სავსებით განმტკიცებას და დარწმუნდებიან იმაში, რომ რევოლიუციის საქმე გამარჯვებით იქნება დაგვირგვინებული.

თეატრალური ხელოვნება.

I საერთოპ რინციპი

ხელოვნება საერთო ადამიანის შემოქმედების ნაყოფია. ის ხუთ მთავარ დარგათ გაიყოფება: მუსიკა, მხატრობა, პოეზია, ხურო მოძღვრება და ქანდაკება.

როგორც საერთო ხელოვნების, ისე თეატრის პირველი წარმოშობი საბერძნეთი იყო, საბერძნეთიდან გადავიდა რომის იმპერააში და ასე გახდა ის საყოველთაო.

ცხოვრების განვითარებასთან ერთად თეატრიც ვითარდებოდა. ის იღებდა სხვადა სხვა მიმდინარეობას სახელს და იდეებს თანამედროვე ხანაში, ხელოვნება არ ატარებს ხალხისთვის ერთს მთლიანს და საერთო სახეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებული საზოგადოება გაიყო ორ მთავარ მოწინააღმდეგე ბანაკათ ისე სულიერი კულტურაც იქნა გამომხატველი ამ ორ მიმდინარეობისა.

დღეს ბურჟუაზიაზის თავისი კლასიური ხელოვნება აქვს, და ეს ერთი მთავარი იარაღთაგანია მისი არსებობის შენარჩუნებისთვის; მაგრამ, ბურჟუაზია თანდათანობით კარგავს თავის პირველ ძლევა მოსილებას და მისი კლასიური ხელოვნებაც არხივს ჩაბარდება. მუშათა კლასი ამ დროს თავისი ჩასახვის დღიდან ქმნის ხელოვნებას ისეთს, რომელიც ემსახურება ჯერ განმათავისუფლებელ კლასის ბრძოლის ხალხის და მერე ის იქცევა საერთო მთელი კაცობრიობის დამატკბობელ წყაროდ.

მუშათა კლასი, იბრძვის მოსპობისთვის; მას ეწამოს ხალხთა განთავისუფლება მონობისაგან და ეს იდეია, დაედება პრინციპად ჩვენს მუშაობას ხელოვნების დარგში.

II რეპერტაური

თეატრის ერთად ერთი მაცოცხლებელი-რეპერტუარია.

მით უმეტეს ეს ითქმის წითელ არმიის წითელ თეატრზე. არმიის თეატრი დიდათ უნდა განსხვავდებოდეს დანარჩენ თეატრებისაგან. ეს განსხვავება გამოიხატება რეპერტუარის რევოლიუციონურ ხასიათით და ამასთან გონების გაფაქიზების მნიშვნელობით. ცხადი ისაა, რომ ჩვენი წითელი არმია წარსული რეპერტუარით ვერ დაკმაყოფილდება. მასში ძირითადი ცვლილება უნდა მოხდეს. ამ ნიადაგზე უკვე არის მუშაობა, იქნება შესაფერი რეპერტუარი, ითარგმნება დროს შერაფერი პიესებიდა სულ მალე, წითელ არმიას ექნება თავისი დამოუკიდებელი რეპერტუარი, რომელიც სიახლეს შეიტანს მის ცხოვრებაში და მის სულის კულტურას, ჭეშმარიტ გაგების სწორ ნიადაგზე დააყენებს.

III თეატრი ცის ქვეშ

არმიაში თეატრალური მუშაობა ორი სეზონით განიყოფება. საზამთრო და საზაფხულო.

საზამთრო სეზონის მუშაობის გეგმა. ჩვენ უკვე შევადგინეთ და შესაფერი დირექტივებით კიდეც მიმდინარეობდა მუშაობა, ეხლა საჭიროა განმარტებული იქნას საზაფხულო მუშაობა მით უმეტეს დღეს წითელი არმია საზაფ. ბანაკზე იმყოფება. თავის თავად დგას კითხვა, როგორ უნდა მოეწყოს მოედანზე თეტრალური საქმე?

ბანაკზე თეატრალური მუშაობა უფრო კარგ პირობებშია. აქ წარმოდგენებს თავისი ბუნებრივი სახე ეძლევა. აქ, ყოველი დარგი ხელოვნებისა უფრო გასაგები და მიმზიდველია, ჩვენ მხედველობაში ცის ქვეშ დადგმული წარმოდგენები. ეს ახალი ამბავი არ არის საბერძნეთში ყველა ცნობილიპიესები ცის ქვეშ იდგმებოდა. არავითარი დეკორაციები, არავითარი დეკორაციები. არავითარი წვრილმანი რეკვიზიტები. თეატრი, შორდებოდა განსაზღრულ რკალს და ის იღებდა ერთგვარ საერო დღესასწაულის სახეს. იყო, ერთგვარი გართობა, ზეიმი. მაგალითად, მიდიოდა, რომელიმე თუ გინდა სოფოკლეს ტრაგედია. სცენა იყო ციხე, მაგრამ ციხეს დეკორაციით არ აჩვენებდენ, არამედ უბრალო წარწერით აქ არის, ციხე.. წარმოიდგინეთ ტყე და სხვა. ცის ქვეშ წარმოიდგენების ისტორია ჩვენშიც იყო, გაიხსენეთ ჩვენებური ჯარიანობა, რელიგიოზურ დღეობებში და სხვა. ასეთს შემთხვევის დროს, თითქმის ხელოვნების ყველა დარგი იშლებოდა ჩვენს თვალწინ. მუსიკა, ცეკვა, შაირები, სიმღერა, ჭიდაობა შეჯიბრება, და ათასგვარი გართობები, ხალხის ესტეთიური გინდა უაღრესობამდინ აღწევდა.

ეს შეიძლება ჩვენ გარდამავლად მივიჩნიოთ მაგრამ, ეს სამაგალითო ნიმუშია კოლექტიური შემოქმედებისა. ეს კანონი დაედება საფუძვლად ბანაკში მუშაობას. ჩვენ გვყავს ბანაკში და ყველა ნაწილებში, ხელოვნების სხვადა სხვა წრეები, როგორც არიან, დრამატიული სამხატვრო, ლიტერატურული, მუსიკალური და სხვა. ყველა ესენი საერთო მონაწილეობას მიიღებენ ცის ქვეშ გამართულ მუშაობაში ისინი თვალსაჩინო სახით არმიელების თვალწინ გამოდიან თავიანთ დარგში, მაგალითად, გვინდა დავდგათ პიესა: შესაძლებელია, ამისთვის გამოინახოს, მაღლობი ადგილი, და წავიდეს პიესა, ამავე ადგილზე ყველას შეუძლია გამოვიდეს, გაიმართება ლიტერატურული გასამართლება, დეკლამაცია, სიმღერა, სიტყვა, ცეკვა, ლექცია, საუბრები და სხვა.

IV წრეების ხელმძღვანელები

აღნიშნულ მუშაობაში დიდი პასუხის მგებლობა ეკისრება ყველა წრეების ხელმძღვანელებს, რომლებიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, დრამატიულ წრის ხელმძღვანელს თავის მოვალეობათ მარტო პიესის დადგმა გაუხდია, ეს ძველი შაბლონია. საჭიროა პიესის დადგმის გარდა, იკითხებოდეს, როგორც წრეში, ისე მასიური სახითაც. გარჩეული უნდა იქნას საერთო პიესის იდეიური და სოციალური მნიშვნელობა. გაგებული უნდა იქნეს პიესის ტიპეში, ამასთან ხელმძღვანელობა, ყველა წრის წევრებს უნდა აუხსნას საერთო თეატრალური ტეხნიკა, წარმოდგენების მოწყობის საერთო მუშაობა, და სხვა. ასეთი ვალდებულება, მარტო დრამატიული სტუდიის ხელმძღვანელებს არ ევალებათ, აქა იგულისხმება, ყველა წრეების ხელმძღვანელები, ერთი სიტყვით მუშაობას უნდა მიეცეს სრული მასიური და კოლექტიური ხასიათი.

V ბიბლიოთეკები და კოლექტივები

წითელ არმიაში, თანდათანობით საფუძველი ეყრება თავისებურ და ორიგინალურ შემოქმედების, მაგრამ ყველაფერი რადა კი კეთდება ის დიდი მომჭირნეობით უნდა იყოს დაცული, ბიბლიოტეკები და საკუთარ კოლექტივებში, ერთხელ იქნება წითელი არმია მოაწყობს საერთო გამოფენას, და ამ დღისთვის ყოველი წვრილმანია კი დიდი ისტორიული მნიშვნელობის იქნება, ამ სერიოსულ მუშაობაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

დ. კობახიძე.

სასოფლო მეურნეობა

სასოფლო მეურნეობა და მეცნიერება

სასოფლო მეურნეობა გაცილებით ძველია მეცნიერებაზედ. მეცნიერებაზედ წარმოდგენაც კი არ ქონდათ, როდესაც მიწის მუშა ამუშავებდა დედამიწის გულს და იწვევდა პურსა და ფხალეულობას.

იმის გამო, რომ სასოფლო მეურნეობა უფრო ძველია, ვიდრე მეცნიერება-ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, რომ მეცნიერება არ უნდა იჭრებოდეს სასოფლო მეურნეობის დარგში, რადგან ეს უკანასკნელი რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში მეცნიერების დაუხმარებლად უძღვებოდა თავის საქმეს·

მაგრამ გავარკვიოთ მართალია თუ არა, რომ მეცნიერებას არაფერი აქვს გასაკეთებელი მეურნეობის დარგში და შეუძლია თუ არა ჩვენს გლეხს დღევანდელ პირობეში გააუმჯობესოს მეურნეობა მეცნიერების გარეშე.

რომ ნათლად წარმოვიდგინოთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც მოაქვს სასოფლო მეურნეობისათვის მეცნიერებას ავიღოთ ერთი მაგალითი ცხოვრებიდან:

ამერიკის ერთ ქალაქში ცხოვრობდა ღარიბი მუშის, გვარად ბურბანსკის, ოჯახი.

ამ მუშის უმცროსი ვაჟი მუშაობდა ქარხანაში. დიდის გაჭირვებით მან მოაგროვა მცირედი თანხა და ამ ფულით თავისუფალ ადგილზედ გააკეთა ბოსტანი.

შემოდგომაზედ, როდესაც კარტოფილის იწევდა, ახალგაზრდა ბურბანსკმა შეამჩნია, რომ ზოგიერთ მცენარეთ მოზრდილი კარტოფილი გამოესხა, ზოგს კი პატარა. ბურბანკი ძლიერ დააინტერესა ამ გარემოებამ და მან გადასწყვიტა ერთი ცდა მოეხდინა. გამოარჩია ყველაზედ მოზრდილი კარტოფილი და ერთი წლის შემდეგ მხოლოდ ასეთი მოზრდილი კარტოფილი დასთესა. ასე იქცეოდა ყოველ წელიწადს, რის გამო ახალგაზრდა ბურბანკმა თავის მეცნიერულ დაკვირვებით შექმნა ისეთი დიდი და კარგი ხარისხის კარტოფილი, რომელმაც სახელი გაითქვა მთელს ამერიკაში.

ამ მაგალითმა მეტად გაამხნევა ბურბანკი. მან დაანება თავი ქარხანაში მუშაობას, შეაგროვა ბლომად ფული და ხელი მოკიდა სასოფლო მეურნეობას.

ბურბანკის აინტერესებდა არა გამდიდრება, არამედ მეცნიერული გამოკვლევით მეურნეობის, გაუმჯობესება. რამოდენიმე ხანაში ბურბანკის ცდა ბრწყინვალეთ დაგვირგვინდა. ასეთი დაკვირვებითი შერჩევის გამო ბურბანკის ბაღ-ბოსტანში ყოველი მცენარე არაჩვეულებრივ დიდს და კარგი ხარისხის ნაყოფს იძლეოდა, რის გამო ბურბანკიმ მთელს ქვეყანაში გაითქვა სახელი. 25 წლის განმავლობაში ბურბანკმა აღზარდა ისეთი დიდტანიანი ხე, რომ სპეციალისტებსაც კი ეგონათ 125 წლის ხეთ. მანვე გააშენა ისეთი ქლიავი, რომელსაც კურკა არა ჰქონდა და საუცხოვო გემოსიც იყო. ბურბანკის სასოფლო მეურნეობის სანახავად მოდიოდენ მეცნიერები ყველა ქვეყნიდან.

ამ უბრალო მუშის დაკვირვებულმა და მეცნიერულმა მეურნეობის წარმოებამ დაგვარწმუნა ჩვენ, რომ სასოფლო მეურნეობის დარგში მეცნიერულ გამოკვლევას დიდი სარგებლობა მოაქვს,

სოფლელი.

დამშეულთა დახმარება

მისაბაძი მაგალითი

საქართ. წითელი არმია შესაფერისათ გამოეხმაურა დამშეულთა დახმარებას მანაც და შეძლების დაგვარათ გაიღო თავისი წვლილი.

თბ. მცველ-მახლებელთა ასეულიც არ ჩამორჩა სხვებს და 10-მარტიდან 4-ივლისამდის, არმიელების ისედაც მცირე ულუფიდან, მოაგროვა: 90 ფუთი ფქვილი (სხვა და სხვა ხარისხის) 6 ფუთი და 5 გირვანქა შაქარი და 1,195000 მან. ფული, რომელიც უკვე გადაეცა საქ. დამშეულთა დამხარე ცენტ. კომიტეტს.

საღამოს გამართვა ამავე ათასეულის სამკითხველოს სასარგებლოთ.

ამავე ათასეულის სანდრო მახარაძის სახელობის კლუბში 8-ივლისს გაიმართა საღამო-წარმოდგენე, ადგილობრის სამკითხველო სასარგებლოთ. წარმოდგენილ იქმნა პიესა,რის შემდეგ წირ. არმიელების მიერ წაკითხულ იქნა ლექსები და სცენები, ბოლოს გაიმართა ევროპიული და აზიური ცეკვა. საღამო გათავდა დილის 2-საათზე და საზოგადოებაც ნასიამოვნები დაიშალა.

საყვედურის ღირსია სამკითხველოს თანამშრომელი ქალი **ელენა ნიორაძე**, რომელიც შეპირებულიყო დახმარებას და სრულებით არ გამოცხადებულა საღამოზე (მის შემდეგი სიტყვით) რაღაც ბრინციპის გამო.

სამხორი. კი—ნო

დამშეულთა დახმარება

მისაბაძი მაგალითი

5 ავლისს ბილბიოთეკის გამგემ ამხ. გამყრელიძემ მე-4-ხე გუნდის წ.-არმიელებს წაუკითხა ჩვეულებრივათ გაზ. „კომუნისტი“ რომელშიც მოყვანილი იყო რაჭის მაზრის გაჭირვება შიმშილობის გამო, რის შემდეგ წითელ არმიელებმა ერთხმათ დაადგინეს გადადონ 4 დღის განმავლობაში ნახევარ-ნახევარი გირ. პური თითოთ რაჭის მაზრის დამშეულთათვის.

საჭიროა ამ მაგალითს მიმართოს მთელმა ლეგიონმა და აგრეთვე სხვა ქართულ ნაწილებმაც, რითაც ცოტათ თუ ბევრათ შეუმსუბუქებენ დამშნულებს მდგომარეობას.

გ. ივანდიდელი

წერილი რედაქციის მიმართ.

პასუხად ამხ. ანოხიანს.

აგხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენი გაზეთ „წითელ-არმიელის“ საშუალებით ნება მომცეთ გულისწყრომა გამოუცხადო მოქ. ონახიანს, რომელმაც შეურაცჰყო თავისი ტყუილი ფრაზებით გაზ. „პრავდა გრუზიაში № 375, როგორც სამოსწავლო ძირითადი ათასეულის წ.-არმიელების მთელი შემადგენლობა, აგრეთვე სამხედრო კომისარი ამხ. ობოლაძე, რომელსაც არ დაუმსახურებია, არც სურამში და არც სხვაგან ისეთი უყურადღებობა როგორც მას უძღვნა ვინმე ონახიანმა.

ონახიანი ბრძანებს., თითქოს სურამში არც პოლიტიკური და არც კულტურული მუშაობა არ შემოეტანოს ჩვენს ჯარს. ამხ. ობოლაძეს კი პოლიტიკურ მუშაობაში დასცინის ირონიულათ. ბ-ნი ონახიანი სასტიკათ ცრუობს რაშია საქმე? სად იყო ბ-ნი ონახიანი, სანამ სამოსწავლო ძირითადი ათასეული მოვიდოდა ქალაქ სურამში! რატომ ადგილობრივ თეატრის დარბაზი წარმოადგენდა სიცალიერეს და შიგ მხოლოდ ბაყაყები ყაყანობდენ უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ ათასეულის მოსვლამდი სურამში მაჯისცემა შეჩერებული იყო. ადგილობრივ მცხოვრებლებს და არც ჯარის ნაწილებს არ ჰქონდათ საზაფხულო, ან რაიმე სხვა გასართობი. ამხ. ობოლაძემ თავის ათასეულის დახმარებით გაანთავისუფლა დარბაზი სიბინძურისაგან და ამ ორსამ დღეში საზაფხულო თეატრიც გაიხსნება.

ამას გარდა ამხ. ობოლაძემ გამართა რამდენჯერმე „შაბათობა“ დაიმუშავეს ადგილობრივ ყანები, დაახლოვებით 60 დესეტინამდე. ნუ თუ ამას უძახის ის ძილს და არა კულტურულ მუშაობას. ვიტყოდი: სძინავს თვითოკ „ონოხიანს“ და არა ჩვენ.

სამკორი **ჭანკვეტაძე**

ჩვენი ფოსტა.

ამხ. ი. ორაგველიძეს.

თქვენი წერილი „ზოგიერმა გაიგოს“ არ შეიცავს არავითარ შინაარს, გარდა იმისა, რომ ამბობთ საჭიროა უფრო მეტი ენერგიულათ დავეწაფოთ თვით-განვითარებასო! სამკორის მოვალეობა თუ რაა, არ იციან თქვენს ნაწილში, იმ შემთხვევაში წაუკითხეთ ჩვენი გაზეთებში მოთავსებული ინსტრუქციები-სამკორების შესახებ და გაიგებენ.

ეს წერილი არ დაიბეჭდება.

ამხ. გ. ივანდიდელს.

თქვენი წერილი „ნუ თუ არ ვარგივართ“ არ დაიბეჭდება: არაა საჭირო რაიმე ითქვას იმ ბრძანების შესახებ, რომლის არსებობაშიც, არა ხართ დარწმუნებული. დანარჩენები წავა.

ნება დართულია სამხედრო ცენ-ზურისაგან რედაქტორი ს. ქურიძე